საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/641
21/01/2022

641-15-10-2-202201210943

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წინადადება

მსჯავრდებულ [redacted] ადეკვატური სამედიცინო სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა ინფორმაცია N17 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, ეკვადორის მოქალაქე [redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, მსჯავრდებულს დადგენილი აქვს შემდეგი სახის დიაგნოზი - აპლაზიური ანემია, თრომბოციტოპენია.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის რწმუნებული 2021 წლის 8 სექტემბერს იმყოფებოდა N17 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთან გასაუბრების მიზნით, თუმცა ადმინისტრაციის ცნობით, იგი გადაყვანილი იყო სამოქალაქო კლინიკა „ვივა მედში". მსჯავრდებულისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ადექვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების საკითხის შესწავლის მიზნით აპარატიდან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში რამდენიმე წერილი გაიგზავნა.[1]

უწყებიდან მიღებული საპასუხო წერილებით[2] აპარატს ეცნობა, რომ თავდაპირველად მსჯავრდებული [redacted] ჯანმრთელობის ჩივილებით - ტკივილი

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 15 სექტემბრის N15-10/8889, 2021 წლის 22 ოქტომბრის N15-10/10064, 2021 წლის 26 ნოემბრის N15-10/11240 და 2021 წლის 24 დეკემბრის N15-10/12383 წერილები.

[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 29 სექტემბრის N10422/21, 2021 წლის 9 ნოემბრის N11904/21 და 2021 30 დეკემბრის N14136/21 წერილები.

გულმკერდის არეში, ზოგადი სისუსტე, ადინემია, ცხელებით - 2021 წლის პირველ სექტემბერს გადაიყვანეს კლინიკა „ვივა მედში“, სადაც დაესვა შემდეგი დიაგნოზი: გულმკერდის ტკივილი დაუზუსტებელი, აპლაზიური ანემია დაუზუსტებელი, გამონაჟონი (არაანთებითი) პერიკარდიუმში, მეორადი თრომბოციტოპენია, მწვავე არასპეციფიური იდიპათიური პერიკადიტი, ცხელება. კლინიკაში ჩაუტარდა ძვლის ტვინის მორფოლოგიური ანალიზი და შემდგომი მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

ჯანმრთელობის შემდგომი გართულების გამო მსჯავრდებული 2021 წლის 25 ოქტომბერს გადაიყვანეს შპს „ვივა მედში“. ძვლის ტვინის მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე დაუდგინდა აპლაზიური ანემია, დაუზუსტებელი, მეორადი თრომბოციტოპენია, ანემია სხვა ქრონიკური ავადმყოფობების დროს, რომელიც შეტანილია სხვა რუბრიკებში. მკურნალობა განაგრძო ონკოჰემატოლოგიურ განყოფილებაში.

მსჯავრდებულს აღენიშნება ძლიერი საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა, ქოშინი, ჰაერის უკმარისობა, წერტილოვანი და ლაქოვანი სისხლჩაქცევები. სამედიცინო დეპარტამენტის ცნობით, საჭიროებს ოპერაციულ მკურნალობას, კერძოდ, ძვლის ტვინის გადანერგვას.

სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2021 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით, ჩატარებული თერაპიის მიუხედავად ვერ ხერხდება პაციენტის კლინიკური მდგომარეობისა და ლაბორატორიული მაჩვენებლების (ღრმა თრომბოციტოპენია, ანემია) გაუმჯობესება. დაავადებათა მართვის საერთაშორისო გაიდლაინის მიხედვით, არჩევის თერაპიას წარმოადგენს ქიმიოთერაპია, შემდგომში ალოგენური ღეროვანი უჯრედის ტრანსპლანტაციით.

სამართლებრივი დასაბუთება

პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.[3]

ეროვნული კანონმდებლობა ასევე ეფუძნება ეკვივალენტურობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამედიცინო პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობის, მოვლის და რეაბილიტაციის იმავე სტანდარტს, რომელიც ხელმისაწვდომია სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში. ამასთან პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების აღნიშნული სტანდარტები ამოცანად ისახავს პატიმართა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.[4] აღნიშნული

---

[3] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარაგრაფი 40.2

[4] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის N381 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა

სტანდარტების მიხედვით შესაძლებელია მსჯავრდებულის სხვა ქვეყანაში მკურნალობა და ორგანოთა ტრანსპლანტაცია, თუმცა პირადი ანაზღაურებით, ვინაიდან ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურებები არ არის განპირობებული სამედიცინო აუცილებლობით ან/და არ არის უზრუნველყოფილი სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[5]

წინამდებარე საქმის ანალიზი

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის წერილები და მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორია დეტალურად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატის ექიმ-ექსპერტმა, მედიცინის დოქტორმა [redacted]. მისი განმარტებით, მსჯავრდებულის დიაგნოზის გათვალისწინებით, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის გარეშე პროგნოზი არაკეთილსაიმედოა.

სამედიცინო დეპარტამენტის ცნობით, მიუხედავად ჩატარებული თერაპიისა, ვერ ხერხდება მსჯავრდებულ [redacted] კლინიკური მდგომარეობისა და ლაბორატორიული მაჩვენებლების (ღრმა თრომბოციტოპენია, ანემია) გაუმჯობესება. დაავადებათა მართვის საერთაშორისო გაიდლაინის მიხედვით, არჩევის თერაპიას წარმოადგენს ქიმიოთერაპია შემდგომში ალოგენური ღეროვანი უჯრედის ტრანსპლანტაციით.

ასევე, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ასი პროცენტით შეთავსებადი სიბლინგური ან ახლო ნათესაური დონორის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია. სრულად ან ნაწილობრივ შეთავსებადი არანათესაური დონორის მოძიება საქართველოში შეუძლებელია, რადგან, ქვეყანა არ არის ჩართული ძვლის ტვინის დონორთა ბანკის მსოფლიო რეესტრში. აღნიშნულის გათვალისწინებით, [redacted] რეფერალების ელექტრონულ პროგრამაში ამჟამად დარეგისტრირებული არ არის.

სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ", დანართი N1, მუხ. 19, ქვპ. „ა" და „თ".

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Bujak v. Poland, N686/12, პუნქტი 68.

იქიდან გამომდინარე, რომ მსჯავრდებული ეკვადორის მოქალაქეა და საქართველოში მას არ ჰყავს სიბლინგური ან ახლო ნათესაური კონტაქტი, ალოგენური ღეროვანი უჯრედის ტრანსპლანტაციის ჩატარება საქართველოში შეუძლებელია, ხოლო დაავადების განვითარების შედეგი მაღალი ალბათობით ლეტალური. მსჯავრდებული მიმდინარე წლის 17 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებულმა მოინახულა კლინიკა „ვივა მედში", ამავდროულად გაესაუბრა ექიმ-ჰემატოლოგს [redacted], რომელმაც განმარტა, რომ პაციენტის ტრანსპორტირება საჰაერო გზით დიდი რისკის შემცველია. ტრანსპორტირება მიზანშეწონილია რეანიმობილით და მედ-პერსონალის მიერ პაციენტის წინასწარი შემზადების შემთხვევაში.[6]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლები 2022 წლის 19 იანვარს გაესაუბრნენ მსჯავრდებულის ოჯახის წევრს (დას)[7], რომელმაც განაცხადა, რომ ოჯახი ეკონომიკურად შეჭირვებულია და არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა მსჯავრდებულის ტრანსპორტირებისა და შემდგომი მკურნალობის.

ამ ფაქტობრივი გარემოებების, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მსჯავრდებულის ციხის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ან/და სტაბილიზაცია შეუძლებელია, რის გამოც აპარატი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ალტერნატივად განიხილავს საზღვარგარეთ მსჯავრდებულის ადეკვატურ მკურნალობას.

იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული არ არის საქართველოს მოქალაქე და მისი ოჯახის წევრები არ იმყოფებიან საქართველოში, არ არსებობს მისი საქართველოში მკურნალობის თეორიული შანსი.[8] მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულება არ გააჩნია საზღვარგარეთ მსჯავრდებულის მკურნალობის ორგანიზების, ვიტოვებ იმედს, რომ ჰუმანურობის პრინციპის გათვალისწინებით განხორციელდება აღნიშნული პირის მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასება და შესაძლებელი იქნება მისი ადეკვატური მკურნალობა.

სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, უახლოესი სახმელეთო მეზობელი ქვეყანა, რომელშიც შესაძლებელია დონორის მოძიება, ძვლის ტვინის გადანერგვა და შემდგომი რეაბილიტაცია, არის თურქეთის რესპუბლიკა. შეთავსებადი არანათესავი დონორისგან ტრანსპლანტაცია ტარდება პაციენტისთვის, რომელსაც არ ჰყავს სრულად შეთავსებადი და/ძმა. დონორის მოძიება ხდება ეროვნული და საერთაშორისო ძვლის ტვინის ბანკებში (National and International BoneMarrow Banks).[9] იქიდან გამომდინარე, რომ პაციენტი და დონორი უნდა შეფასდეს წინასწარი

---

[6] სახალხო დამცველის რწმუნებულის 2022 წლის 17 იანვრის ვიზიტის ოქმი.

[7] [redacted]- +([redacted]

[8] საქართველოში მისი ახლო ნათესავის ყოფნის შემთხვევაში მსჯავრდებულს ექნებოდა შესაძლებლობა აღნიშნული ოპერაციული მკურნალობა საქართველოს ონკო-ჰემატოლოგიისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრში ჩაეტარებინა.
<https://www.newhospitals.ge/ka/news/niu-hospitalsis-onko-hematologiisa-da-dzvlis-tvinis-transplantaciis-centri-gaixsna_ka/ >

[9] იხ. < https://acibadem.ge/treatment/bone-marrow-transplantation-and-cellular-therapy/ >

ტრანსპლანტაციისთვის ფართო ტესტებით (HLA ტესტით), მიზანშეწონილია სატესტო მასალა აღებულ იქნეს საქართველოში და დონორის მოძიების მიზნით სათანადო წესის დაცვით გადაგზავნილ იქნეს თურქეთის კლინიკაში. დონორის წარმატებით მოძიების შემთხვევაში კი განხორციელდეს მისი ტრანსპორტირება და ოპერაციული მკურნალობა.

დასკვნა

ამდენად, ვინაიდან უცხოეთის მოქალაქე [redacted], რომელიც საქართველოში იხდის სასჯელს, დაუდგინდა შემდეგი სახის დიაგნოზი - აპლაზიური ანემია, დაუზუსტებელი, მეორადი თრომბოციტოპენია, ანემია სხვა ქრონიკური ავადმყოფობების დროს, რომელიც შეტანილია სხვა რუბრიკებში, ხოლო მისი დაავადება მძიმედ მიმდინარეობს და პროგნოზი არაკეთილსაიმედოა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მისი საკითხი განხილულ იქნეს ინდივიდუალურობისა და ჰუმანურობის პრინციპის გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს ფინანსური რესურსი, რათა ჩაუტარდეს მსჯავრდებულს შესაბამისი ოპერაცია, მისგან გაცნობიერებული თანხმობის მოპოვების შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით გადაიდგას დროული ნაბიჯები და განხილულ იქნეს მისი საზღვარგარეთ მკურნალობის საკითხი.

ამასთან, გთხოვთ, წინამდებარე წინადადების განხილვის შედეგების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი